თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2766264

ნომერი: AR1428908

თარიღი : 03.08.2016

გაცემის თარიღი : 12.08.2016

გაცნობის თარიღი : 12.08.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ივანე თარხნიშვილის ქუჩა N2 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კობა ძლიერიშვილი პ/ნ 35001005358
- რუსთავი გ.ოდიშარიას ქ. კორ. 25 ბ. 8

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- IV კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 2462401
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 24.03.2016

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და "მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

ვბრძანებ

შეთანხმებული სამშენებლო დოკუმენტაციისაგან განსხვავებით ნაწარმოები მშენებლობის ქალაქგეგმარებით

მოთხოვნებთან შესაბამისობის დადასტურების თაობაზე. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა მოქ. კობა ძლიერაშვილის 2016 წლის 3 აგვისტოსს AR1428908 განცხადება, რომლითაც ითხოვდა ქ. თბილისში(სექტორი – მთაწმინდა), ივანე თარხნიშვილის ქ. N2–ში, საპროექტო ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების მიზნით, წარმოდგენილი ფოტოსურათების საფუძველზე, არქიტექტურული პროექტის დარღვევით ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოების ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობის დადასტურებას. საკითხის შესწავლისას დადგინდა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 24 მარტის №2462401 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, (სექტორი – მთაწმინდა), ივანე თარხნიშვილის ქ. N2–ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 25 მარტიდან 2016 წლის 25 სექტემბრის ჩათვლით. ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ ქ. თბილისში, (სექტორი – მთაწმინდა), ივანე თარხნიშვილის ქ. N2–ში, სამშენებლო სამუშაოების შემოწმებისას დადგინდა დარღვევები, რის გამოც 2016 წლის 21 ივნისის № ბ-154228/07 ბრძანებით შპს "ემ.ჯი.აი"–ს უარი ეთქვა საპროექტო ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებაზე. წინამდებარე განცხადებით წარმოდგენილი ფოტოსურათების განხილვის შედეგად, სამსახური, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების, 62 მუხლის ,,პ'' პუნქტის საფუძველზე, ადასტურებს განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგემარებით მოთხოვნებთან შესაბამისობას და მის დასაშვებობას.

• აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
• ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge